



USAID
 ამერიკელი ხალხისგან



EAST · WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
 საქართველოში (PROLoG)



**ბროშურა
 შედაგოგებისთვის**

**თბილისი
 2017**

**ძალადობაგამოვლილი
 ბავშვებისა და მოზღვების
 მხარდაჭერა**

ბრუნება მასწავლებლებისათვის

ძალადობაგამოვლილი
ბავშვებისა და მშობლების
მხარდაჭერა

თბილისი 2017

ბავშვის უსაფრთხოება და ძალადობისგან დაცვა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებაა, თუმცა, მას ხშირად ემუქრება საფრთხე ოჯახში ძალადობის გამო .

გაეროს ბავშვთა ფონდის 2013 წლის კვლევის თანახმად, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმართულებით საგანგაშო მდგომარეობაა, რადგან მოსახლეობის 60% დასაშვებად მიიჩნევს ბავშვთა მიმართ ძალადობას ოჯახში, მათ შორის, აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას. ბავშვი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ხშირად მაშინაც ხდება, როდესაც მის ერთ-ერთ მშობელზე, უმეტესად დედაზე, ოჯახის სხვა წევრი ძალადობს, რადგან ბავშვის ფსიქიკაზე წარუშლელ კვალს ტოვებს ძალადობის მოწმედ ყოფნა.

ძალადობაგამოვლილი ბავშვისა და მშობლის მხარდაჭერის პროცესში მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია. პედაგოგები განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობენ საბოგადობაში. მათ აქვთ უშუალო შემხებლობა, როგორც ბავშვებთან, ასევე მათ მშობლებთან, რაც პედაგოგებს აძლევთ შესაძლებლობას, მოახდინონ ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირება და ძალადობაგამოვლილ ბავშვებსა და მათ მშობლებს გაუწიონ ფასდაუდებელი დახმარება.

რა არის ოჯახში ძალადობა?

ოჯახის ერთი წევრის მიერ, მეორე წევრის მიმართ განხორციელებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა, იძულება ან უგულებელყოფა. ასევე, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების (ღირსების დაცვა, თავისუფალი გადაადგილება, დასაქმება და სხვა) შეზღუდვა და განხორციელებაში ხელის შეშლა.

ვინ შეიძლება იყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი?

პირი, ვისი უფლებებიც შეიზღუდა ოჯახში. მსხვერპლად ჩაითვლება აგრეთვე — ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა, ანუ უშუალოდ შეესწრო ოჯახში ძალადობის ფაქტს.

მასწავლებლის როლი ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის გამოსავლენად

საქართველოს კანონმდებლობის¹ თანახმად, მასწავლებელი და, ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულება, ვალდებულია ბავშვის მიმართ ოჯახში ჩადენილი ძალადობა თუ დანაშაული გამოავლინოს (პირველადი იდენტიფიკაცია) და რეაგირების მიზნით მიმართოს შესაბამის ორგანოებს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა, იწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას: გამოიწვევს ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან — 100 ლარამდე ოდენობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან — 200 ლარამდე ოდენობით².

¹ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის 14¹ მუხლი.

² საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁶ მუხლი.

- ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას, საჭიროა, მასწავლებელმა დამატებით შეისწავლოს, გამოიკვლიოს ფაქტი, რათა დადგინდეს, რამდენად საფუძვლიანია ეჭვი.
- ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, საგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლის) უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, შეავსოს „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი“ და გააგზავნოს სსიპ სოციალურ მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში.
- გადაუდებელ შემთხვევებში, პედაგოგი, ისევე როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული სხვა პირი, ვალდებულია — დაუყოვნებლივ აცნობოს პოლიციას, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და შეატყობინოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ან/და წერილობით.

როდის შეიძლება პედაგოგს გაუჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ ბავშვი შეიძლება იყოს ძალადობის მსხვერპლი?

- ბავშვის განცხადების არსებობის შემთხვევაში, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
- როდესაც ბავშვი ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს;
- მოწმის განცხადებისას, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/ სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევისას, როგორცაა:
 - ◆ ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა მის მონათხრობთან;
 - ◆ მისი მონათხრობის შეუსაბამობა ბავშვის ტრავმის შესახებ სხვა პირთა მონათხრობთან;
 - ◆ მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება;
 - ◆ არაადეკვატური რეაგირება ბავშვის ტრავმაზე.
- სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით, ქმნის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა;
- ბავშვს სხეულზე აღენიშნება დაზიანების ნიშნები (სხვადასხვა ფერის სილურჯეები, ჭრილობები, ნაკანრები, დამწვრობის კვალი, შეშუპებები და სხვ.);
- ბავშვი იქცევა საეჭვოდ (აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სახლში დაბრუნება);
- ბავშვი რეგულარულად აცდენს სკოლას ან ჩართულია ისეთ შრომით საქმიანობაში, რომელიც არღვევს მის ფუნდამენტურ უფლებებს (განათლება, ჯანმრთელობა და სხვ.);
- ბავშვი არ არის დარეგისტრირებული, არ აქვს დაბადების მოწმობა ან არ არის პედიატრის/ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ;

- ასაკის შეუფერებლად, დროს ატარებს უმეტესადაც რეოდ, საცხოვრებელი გარემო შეიცავს საფრთხეებს ბავშვისთვის;
- ბავშვი ხშირად გადაადგილდება უცხო პირთან/პირებთან ერთად ნათესავის/ახლობლის გარეშე;
- ბავშვი მოიხმარს ალკოჰოლს, არ აქვს ჰიგიენური საშუალებები და გამოიყურება მოუვლელად, აცვია დახეული ტანსაცმელი და ა.შ.

მასწავლებლის როლი ქალის მიმართ ან ოჯახში ჩადენილი ძალადობის გამოსავლენად

კანონის თანახმად, მასწავლებლის ვალდებულება მოიცავს ძალადობისგან არა მხოლოდ ბავშვების დაცვას, არამედ — ქალების ან სხვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლების უსაფრთხოებაზე ზრუნვასაც.

მასწავლებელი ვალდებულია, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება³.

³ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 20¹ მუხლი.

ვინ და როგორ დაეხმარება ძალადობაგამოვლილ ბავშვსა და მშობელს?

- სოციალური მომსახურების სააგენტო — ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის ან ძალადობის ფაქტის შემთხვევაში, განახორციელებს ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის შეფასებას, შემთხვევის მართვას, საჭირო მომსახურებებში ბავშვის განთავსებას, ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას;
- პოლიცია — მიიღებს რა შეტყობინებას ბავშვზე ძალადობის შესახებ, იწყებს გამოძიებას, გამოსცემს ორდერს, უზრუნველყოფს მსხვერპლის უსაფრთხოებას და სხვა;
- სასამართლო — გამოსცემს ორდერს, მსხვერპლის მოთხოვნის საფუძველზე განიხილავს ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს და სხვა;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი — ანიჭებს ძალადობის მსხვერპლის სტატუსს, იმ შემთხვევაში, თუ ძალადობაგამოვლილ ქალს/ბავშვს არ სურს მიმართოს პოლიციას;
- თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი — უზრუნველყოფს დროებითი საცხოვრებლით, უფასო სამართლებრივი კონსულტაციით, უფასო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით და სხვა;

- მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიის ცენტრი — თუ ბავშვს ესაჭიროება ფსიქოლოგიური დახმარება მანდატურის, პედაგოგის, მშობლის ან უშუალოდ ბავშვის მიმართვის შემთხვევაში, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიის ცენტრის ფსიქოლოგები გაუწევენ ფსიქოლოგიურ დახმარებას;
- არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ — უზრუნველყოფს გენდერული დისკრიმინაციისა და ოჯახში ძალადობის თემაზე უფასო იურიდიული დახმარებით.

რა უნდა გავითვალისწინოთ, თუ მოულოდნელად მოგვიწევს ძალადობაგამოვლილ (ძალადობის მსხვერპლ) მშობელთან გასაუბრება?

- უსაფრთხო გარემოს შერჩევა;
- მხარდაჭერის გამოხატვა;
- განსჯისგან თავის შეკავება;
- ინფორმაციის მიღება ბავშვის საჭიროებების შესახებ;
- ძალადობის წინააღმდეგ მყარი პოზიციის დაფიქსირება;
- ინფორმაციის მიწოდება არსებული სერვისებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ;
- ძალადობასთან ბრძოლის პროცესში მასწავლებლის ფუნქციის შესახებ ინფორმირება.

ოჯახში ძალადობის შემცირების ყველაზე ეფექტური გზა მასწავლებლის მიერ ძალადობის პრევენციის სწავლებაა:

1. სკოლის გარემოში ადამიანის უფლებების, თანასწორობისა და თავისუფლების, ღირსების დაცვის ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლებების სწავლება;
2. სკოლის გარემოში ძალადობისგან თავისუფალი ურთიერთობების მხარდაჭერა და არაძალადობრივი კომუნიკაციის სწავლება;
3. სტერეოტიპებისგან თავისუფალი მსჯელობის მხარდაჭერა.

სასარგებლო ინფორმაცია ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ცხელი ხაზი: 05 15

- ◆ ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი: 006 116
- ◆ გადაუდებელი დახმარების (პოლიცია, სასწრაფო) ცხელი ხაზი: 112
- ◆ სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 1481 (24/7)

სოციალური მომსახურების სააგენტო:

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი 144, 0119, თბილისი

ტელეფონი: 15 05

ელ-ფოსტა: info@ssa.gov.ge

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიის ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1

ცხელი ხაზი: (3335) 220 200 2 (32 995+)

ელ. ფოსტა: registration@mandaturi.gov.ge

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

თბილისი 0193, ალექსიძის 1, კორპ. #2; ბ. 26

ტელ: + 995 032 2 33 13 56; 593 737 003; 591 800 982

ელ-ფოსტა phr.georgia@gmail.com

საქართველოს სახალხო დამცველი:

ქ. თბილისი ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ.: +99532 2234499 / 2913814 /
2913815 / 2913841 / 2913842

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

